თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
2024 წლის 15 მაისი
რიგგარეშე სხდომის
ოქმი № 7

ქ. თერჯოლა 15 მაისი 2024 წელი

სხდომა გაიმართა მუნიციპალიტეტის საკრებულოს ადმინისტრაციული შენობის სხდომათა დარბაზში, მის. ქ. თერჯოლა, ან. ჭანტურიძის ქ. № 7-ში.

სხდომას უძღვებოდა: საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ბარათაშვილი

სხდომას ესწრებოდნენ: 1. გიორგი ბარათაშვილი, 2. ნინო ჩხიკვაძე, 3. თემურ ქოჩიაშვილი, 4. ლაშა გურგენიძე, 5. იზა მაგრაქველიძე, 6. ეკა ბერძენიშვილი, 7. კობა კაცაძე, 8. ნინო მახათაძე, 9. ომარი ჯიხვაშვილი, 10. ბადრი ბუცხრიკიძე, 11. ჯემალ ისაკაძე, 12. ელისო მურადაშვილი, 13. შალვა ჭანკვეტაძე, 14. გრიგოლ გიორგაძე, 15. გოჩა ვერულაშვილი, 16. დავით გოგბერაშვილი, 17. თამარ ახვლედიანი, 18. ფრიდონ გვენეტაძე, 19. დავით ცხადაძე, 20. ნატალია ასათიანი, 21. მერაბი ბასილაძე, 22. ივანე ჩუბინიძე.

სხდომას არ ესწრებოდნენ: 1. ბიძინა ბუცხრიკიძე, 2. კახა ბუცხრიკიძე, 3. რამინი რობაქიძე, 4. კობა კირკიტაძე, 5. ტარიელ ფანჩულიძე, 6. როლანდი მესხი, 7. რუსუდან კოვზირიძე, 8. მანუჩარ ფანჩულიძე.

საკრებულოს სრული შემადგენლობა: 30 წევრი
საკრებულოს სიითი შემადგენლობა: 30 წევრი
დამსწრე საკრებულოს წევრთა რაოდენობა: 22 წევრი
კვორუმი: 16 წევრი

სხდომას ესწრებოდნენ: მუნიციპალიტეტის მერი მანუჩარ რობაქიძე.

სხდომა დაიწყო 12 ⁰⁰ სთ-ზე.
სხდომა დამთავრდა - 12 ³⁰სთ-ზე.

საკრებულოს სხდომა უფლებამოსილია გააგრძელოს მუშაობა დღის წესრიგის შესაბამისად.

სხდომის დაწყებამდე ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარის მოადგილემ დავით ცხადაძემ გააკეთა განცხადება სხდომის დატოვების შესახებ, ისინი უერთდებიან თბილისში მიმდინარე საპროტესტო აქციას და აპროტესტებენ „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ კანონს.

დღის წესრიგი:

1. ,,წარმატებული სპორტსმენისა და წარმატებული მწვრთნელის, ოქროსა და ვერცხლის მედალოსანი სკოლის მოსწავლეების, წარმატებული ახალგაზრდის, სახელმწიფო სასწავლო გრანტის მფლობელი სტუდენტის დაჯილდოებისა და ახალაგაზრდული ინიციატივის დაფინანსების წესში“ თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 7 ნოემბრის № 44 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ (თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის წერილი №28-2824099141, 08.04.2024 წ.);

   მომხს.: გ. გიორგაძე

2. თერჯოლის მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული (საკუთრებაში არსებული) უძრავი ქონების (მიწის, უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი 33.07.37.399 სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოსათვის საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ (თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის წერილი №28-282413421, 13.05.2024 წ.);

   მომხს.: ბ. ბუცხრიკიძე

3. თერჯოლის მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული (საკუთრებაში არსებული) უძრავი ქონების (მიწის, უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი 33.12.34.494 სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოსათვის საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ (თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის წერილი №28-282413422, 13.052024 წ.).

   მომხს.: ბ. ბუცხრიკიძე

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 17 , წინააღმდეგი - 0

დღის წესრიგი დამტკიცდა წარმოდგენილი სახით.

1.

მოისმინეს: მომხსენებელმა, საკრებულოს კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარემ - გრგიგოლ გიორგაძემ საკრებულოს წევრებს გააცნო ,,წარმატებული სპორტსმენისა და წარმატებული მწვრთნელის, ოქროსა და ვერცხლის მედალოსანი სკოლის მოსწავლეების, წარმატებული ახალგაზრდის, სახელმწიფო სასწავლო გრანტის მფლობელი სტუდენტის დაჯილდოებისა და ახალაგაზრდული ინიციატივის დაფინანსების წესში“ თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 7 ნოემბრის № 44 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ დადგენილების პროექტი - პროექტით განსაზღვრულია წარმატებული სპოტსმენის ასაკის ცვლილება - 18-26 წლის ნაცვლად 14-26 წელი. ასავე განსაზღვრულია ფულადი ჯილდოს გაზრდა:

წარმატებული სპოტსმენი:

საქართველოსჩემპიონატის I ადგილი – 600 ლარი; II ადგილი – 500; III ადგილი – 400 ლარი.

წარმატებული მწვრთნელი :

საქართველოსჩემპიონატის I ადგილი – 500 ლარი; II ადგილი – 400; III ადგილი – 300 ლარი.

აზრი გამოთქვეს: საკრებულოს წევრებს აზრი არ გამოუთქვამთ

კენჭისყრის შედეგები: მომხრე -17 , წინააღმდეგი - 0

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს ,,წარმატებული სპორტსმენისა და წარმატებული მწვრთნელის, ოქროსა და ვერცხლის მედალოსანი სკოლის მოსწავლეების, წარმატებული ახალგაზრდის, სახელმწიფო სასწავლო გრანტის მფლობელი სტუდენტის დაჯილდოებისა და ახალაგაზრდული ინიციატივის დაფინანსების წესში" თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 7 ნოემბრის № 44 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ დადგენილების პროექტი (დადგენილება № 9, 15.05.2024 წ.).

2.

მოისმინეს: მომხსენებელმა, საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის კომისიის თავმჯდომარემ-ბადრი ბუცხრიკიძემ, საკრებულოს წევრებს გაცნო თერჯოლის მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული (საკუთრებაში არსებული) უძრავი ქონების (მიწის, უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი 33.07.37.399 სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოსათვის საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ განკარგულების პროექტი - აღნიშნული მიწის ნაკვეთი გადაეცემა სახელმწიფოს საკუთრებაში, შემდგომში საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტისათვის სარგებლობის უფლებით გადაცემის მიზნით, მასზე განხორციელდება საერთაშორისო მნიშვნელობის (ს-1) თბილისი-სენაკი-ლესელიძის საავტომობილო გზის ეწრის სატრანსპორტო კვანძზე მოძრაობის ნაკადების სრულყოფის მიზნით ჩასატარებელი სამუშაოები.

აზრი გამოთქვეს: საკრებულოს წევრებს აზრი არ გამოუთქვამთ

კენჭისყრის შედეგები: მომხრე -17 , წინააღმდეგი - 0

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს თერჯოლის მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული (საკუთრებაში არსებული) უძრავი ქონების (მიწის, უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი 33.07.37.399 სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოსათვის საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ განკარგულების პროექტი (განკარგულება № გ-29.2924136001, 15.05.2024 წ.).

3.

მოისმინეს: მომხსენებელმა, საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ - ბადრი ბუცხრიკიძემ საკრებულოს წევრებს გააცნო თერჯოლის მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული (საკუთრებაში არსებული) უძრავი ქონების (მიწის, უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი 33.12.34.494 სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოსათვის საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ - აღნიშნული მიწის ნაკვეთი გადაეცემა სახელმწიფოს საკუთრებაში, შემდგომში ა(ა)იპ საქართველოს სამედიცინო ჰოლდინგისათვის პირდაპირი მიყიდვის ფორმით, სიმბოლურ ფასად - 1 ლარად, საკუთრებაში გადაცემის მიზნით. ჰოლდინგი გეგმავს სოფელ ახალთერჯოლის საექიმო ამბულატორიის შენობის აშენებას.

აზრი გამოთქვეს: საკრებულოს წევრებს აზრი არ გამოუთქვამთ

კენჭისყრის შედეგები: მომხრე -17 , წინააღმდეგი - 0

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს თერჯოლის მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული (საკუთრებაში არსებული) უძრავი ქონების (მიწის, უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი 33.12.34.494 სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოსათვის საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ განკარგულების პროექტი (განკარგულება № გ-29.29241362, 15.05.2024 წ.).

სხდომის თავმჯდომარემ, გიორგი ბარათაშვილმა თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 15 მაისის საკრებულოს რიგგარეშე სხდომა დახურულად გამოაცხადა.

საკრებულოს თავმჯდომარე
გიორგი ბარათაშვილი